საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

საინფორმაციო ფურცელი

მსოფლიოში კონკურენციის უწყებების მიერ განხორციელებული აქტივობები

იანვარი, 2026

01

იტალიის კონკურენციის უწყება

იტალიის კონკურენციის უწყება აგროსასურსათო მიწოდების ჯაჭვში ბაზრის კვლევას იწყებს

იტალიის კონკურენციის უწყებამ (AGCM) დაიწყო ბაზრის კვლევა აგროსასურსათო მიწოდების ჯაჭვში საცალო ვაჭრობის როლის შესაფასებლად, ბოლო წლებში საერთო ინფლაციასა და სასურსათო პროდუქტებზე ფასების ინფლაციას შორის არსებული მზარდი სხვაობის გათვალისწინებით.

ISTAT-ის მონაცემებით, 2021 წლის ოქტომბრიდან 2025 წლის ოქტომბრამდე სასურსათო პროდუქტებზე ფასები 24.9%-ით გაიზარდა, რაც დაახლოებით 8 პროცენტული პუნქტით აღემატება იმავე პერიოდში სამომხმარებლო ფასების საერთო ინდექსის ზრდას. ფასების ზრდის პარალელურად, სასოფლო-სამეურნეო მწარმოებლები ხშირად მიუთითებენ მოგების მარჟების შემცირებაზე ან მათ არასაკმარის ზრდაზე, რაც შესაძლოა ფერმერებსა და მსხვილ საცალო ქსელებს შორის მოლაპარაკებით იყოს განპირობებული.

ბაზრის კვლევა ფოკუსირდება საბოლოო დისტრიბუტორებსა და მომწოდებლებს შორის ურთიერთობებზე, გაყიდვასთან დაკავშირებული მომსახურებისთვის მომწოდებლებისთვის დაკისრებულ დამატებით გადასახადებზე, აგრეთვე დისტრიბუტორის ბრენდირებული პროდუქციის მზარდ როლზე. აღნიშნული საკითხები კონკურენციის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, რადგან ისინი უშუალოდ აისახება საბოლოო ფასების ფორმირებაზე.

[წყარო:]

02

იტალიის კონკურენციის უწყება

იტალიიის კონკურენციის უწყება შრომის ბაზარზე შესაძლო კარტელურ შეთანხმებასთან დაკავშირებით მოკვლევას იწყებს

იტალიის კონკურენციის უწყებამ, ინფორმაციის გამჟღავნების (whistleblowing) პლატფორმის მეშვეობით მიღებული საჩივრის საფუძველზე, დაიწყო მოკვლევა კომპანიების - Akkodis Italy, Coesia, G.D., I.E.M.A., I.M.A., S.I.A. და SPAIQ წინააღმდეგ. მოკვლევა შეეხება შრომის ბაზარზე შესაძლო ანტიკონკურენტულ შეთანხმებას ავტომატიზებული შესაფუთი დანადგარების ვალიდაციის სპეციალისტების დასაქმების სფეროში.

აღნიშნული კომპანიები, სავარაუდოდ, კოორდინირებულად მოქმედებდნენ, რათა არც ერთ მათგანს არ დაესაქმებინა ავტომატიზებული დანადგარების ვალიდაციის სპეციალისტები, რომლებიც მანამდე სულ მცირე ერთ სხვა ჩამოთვლილ კომპანიაში იყვნენ დასაქმებული. აღნიშნული სპეციალისტები ჩართულნი არიან ფარმაცევტული, კოსმეტიკური, სასურსათო, ჩაის, ყავისა და თამბაქოს პროდუქტების გადამუშავებისა და შეფუთვის პროცესებში.

მოკვლევის ფარგლებში კონკურენციის უწყების წარმომადგენლებმა, იტალიის ფინანსური პოლიციის (Guardia di Finanza) ანტიმონოპოლიური სპეციალური დანაყოფის მხარდაჭერით, ჩაატარეს შემოწმებები აღნიშნული კომპანიების მთავარ ოფისებში.

წყარო:

01

პოლონეთის კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის კომისია

სანქციები ZALANDO-სა და TEMU-თვის

Zalando-სა და Temu-ს პლატფორმებზე მომხმარებლებს ფასდაკლებების შესახებ სრულყოფილი და გამჭვირვალე ინფორმაცია არ მიეწოდებოდათ, მათ შორის ფასდაკლებამდე ბოლო 30 დღის განმავლობაში არსებული ყველაზე დაბალი ფასის მითითების კუთხით. პოლონეთის კონკურენციისა და მომხმარებელთა დაცვის კომისიის (UOKiK) პრეზიდენტმა კომპანიებს ჯამურად დაახლოებით 37 მილიონი ზლოტის ოდენობის ჯარიმა დააკისრა.

ფასდაკლებამდე ბოლო 30 დღის ყველაზე დაბალი ფასის მითითება ფასის შემცირების შესახებ ინფორმაციის სავალდებულო ელემენტია, რაც 2023 წელს „ომნიბუსის დირექტივის“ ამოქმედებით განისაზღვრა. აღნიშნული მოთხოვნის მიზანია მომხმარებლებისთვის ფასდაკლების რეალური ოდენობის მკაფიო და სწორი წარმოჩენა.

Zalando

მოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ პლატფორმაზე ხშირ შემთხვევაში არ იყო მითითებული ფასდაკლებამდე ბოლო 30 დღის ყველაზე დაბალი ფასი ან იგი იცვლებოდა მაშინაც კი, როდესაც პროდუქტის ფასი ფაქტობრივად უცვლელი რჩებოდა, რაც მომხმარებლებისთვის გაზრდილი ფასდაკლების მცდარ შთაბეჭდილებას ქმნიდა. აღნიშნული პრაქტიკის გამო Zalando SE-ს დაახლოებით 31 მილიონი ზლოტის ოდენობის ჯარიმა დაეკისრა.

Temu

Temu-ს შემთხვევაში გამოვლინდა ფასდაკლებების შესახებ არათანმიმდევრული და რიგ შემთხვევებში არასწორი ინფორმაციის მიწოდება, რის გამოც მომხმარებლებს უჭირდათ ფასდაკლების რეალური ოდენობის განსაზღვრა. საქმის განხილვის პროცესში კომპანიამ გამოვლენილი დარღვევები აღმოფხვრა, თუმცა Whaleco Technology Limited-ს დაახლოებით 6 მილიონი ზლოტის ოდენობის ჯარიმა დაეკისრა.

UOKiK აგრძელებს ფასდაკლებების მონიტორინგს და მსგავს დარღვევებზე რეაგირებას როგორც ონლაინ, ისე ფიზიკურ სავაჭრო ობიექტებში.

[წყარო:]

02

პოლონეთის კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის კომისია

უწყება SAMSUNG-ს ბრალს უყენებს

პოლონეთის კონკურენციისა და მომხმარებელის დაცვის კომისიის (UOKiK) პრეზიდენტმა Samsung Electronics Polska-ს მომხმარებელთა შეფასებებისა და რეიტინგების შესაძლო შეცდომაში შემყვანი პრაქტიკის გამო ბრალდება წარუდგინა. დარღვევის დადასტურების შემთხვევაში, კომპანიას შესაძლოა დაეკისროს ჯარიმა, რომელიც მისი წლიური ბრუნვის 10%-ს მიაღწევს.

კვლევების მიხედვით, მომხმარებელთა 93% ონლაინ შოპინგისას გადაწყვეტილებას პროდუქტის შეფასებებსა და რეიტინგებზე აფუძნებს, რაც ამ ინფორმაციის სანდოობას განსაკუთრებით მნიშვნელოვნად აქცევს. რიგი შეფასებები მონიშნულია ლეიბლებით „Verified purchase / Product used by customer“, თუმცა UOKiK-ის ინფორმაციით, აღნიშნული სტატუსის რეალური შემოწმება არ ხორციელდება. მომხმარებელი მხოლოდ შესაბამის ველში მონიშვნას აკეთებს, მაშინ როდესაც შეკვეთის ნომრის ან შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა საჭირო არ არის.

მსგავსი ვითარება დაფიქსირდა „Authentic Review™ Bazaarvoice“ ნიშნთან დაკავშირებითაც, რომელიც მომხმარებლებში შეფასების სანდოობის შთაბეჭდილებას ქმნის, თუმცა პრაქტიკაში შეფასებების ნამდვილობის გადამოწმებას არ უზრუნველყოფს.

არასათანადოდ შემოწმებული შეფასებები გავლენას ახდენს პროდუქტის საერთო რეიტინგსა და ვარსკვლავების რაოდენობაზე, რომლებიც მომხმარებლებს პირველ რიგში ეჩვენებათ და შესაძლოა შეცდომაში შეიყვანოს. UOKiK-ის შეფასებით, Samsung-ის მიერ გამოყენებული მექანიზმები თვითდეკლარირების საფუძველზე მონიშვნა და შეფასებების უარყოფის არსებული პროცედურა არ უზრუნველყოფს მომხმარებელთა შეფასებების ნამდვილ წარმომავლობას.

ბრალდებების დადასტურების შემთხვევაში, კომპანიას შესაძლოა დაეკისროს ჯარიმა წლიური ბრუნვის 10%-მდე.

წყარო:

01

ლუქსემბურგის კონკურენციის უწყება

ევრო კომისია იწყებს საჯარო კონსულტაციებს სოფლის მეურნეობისა და საკვები პროდუქტების მიწოდების ჯაჭვის დირექტივასთან დაკავშირებით



ევროპის კომისია იწვევს დაინტერესებულ მხარეებს, გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები დირექტივის (EU) 2019/633 გადახედვასთან დაკავშირებით, რომელიც კრძალავს უსამართლო სავაჭრო პრაქტიკებს სოფლის მეურნეობისა და საკვების მიწოდების ჯაჭვში. საჯარო კონსულტაციის ფარგლებში შენიშვნების წარდგენა შესაძლებელია 2026 წლის 27 თებერვლამდე.

2023 წელს ჩატარებულმა შეფასებამ აჩვენა, რომ მიღწეული პროგრესის მიუხედავად, ფერმერები და მცირე მომწოდებლები კვლავაც იმყოფებიან არათანაბარ მოლაპარაკებით მდგომარეობაში მსხვილ მყიდველებთან მიმართებით, რაც ზრდის უსამართლო სავაჭრო პრაქტიკების გავრცელების რისკს. ბოლო

წლებში განვითარებულმა კრიზისებმა აღნიშნული პრობლემები კიდევ უფრო გაამწვავა, ხოლო ბაზრები გახადა უფრო არასტაბილური და ნაკლებად გამჭვირვალე.

უსამართლო სავაჭრო პრაქტიკების გავრცელებას ხელს უწყობს ასევე არსებული უფლებების შესახებ ცნობიერების ნაკლებობა და მომწოდებლების ეკონომიკური დამოკიდებულება მყიდველებზე. ამასთან, არსებული სამართლებრივი ჩარჩოს გარკვეული შეზღუდვები ამძიმებს ვითარებას: ზოგიერთი ახალი პრაქტიკა დირექტივის მოქმედების ფარგლებს მიღმა რჩება; კონტრაქტული პირობები შესაძლოა დირექტივის მიზნების გვერდის ავლას უწყობდეს ხელს; ხოლო რიგი დაუცველი მომწოდებლები რეგულირების მიღმა რჩებიან. აღნიშნული გარემოებები ხშირად იწვევს პროდუქციის თვითღირებულებაზე დაბალ ფასად რეალიზაციას და საფრთხეს უქმნის ფერმერებისა და მცირე მომწოდებლების ეკონომიკურ მდგრადობას.

დირექტივის ეფექტიანობას ზღუდავს ასევე მისი არათანაბარი აღსრულება წევრ სახელმწიფოებში და ჰარმონიზებული მონაცემების ნაკლებობა, რაც ართულებს სავაჭრო პრაქტიკების შეფასებას და რეგულირების ადაპტაციას ბაზრის განვითარებასთან.

2024–2029 წლების პოლიტიკის პრიორიტეტების გათვალისწინებით, ევრო კომისია დირექტივის გადახედვის გზით გეგმავს:

- აღსრულების მექანიზმის გაძლიერებას, საჩივრების განხილვის პროცედურების გაუმჯობესებას და კონფიდენციალურობისა და ანონიმურობის უზრუნველყოფას;
- წევრ სახელმწიფოებში წესების ჰარმონიზაციისა და მონიტორინგის მექანიზმების გაუმჯობესებას;
- მომწოდებელთა დაცვის გაფართოებას ახალი უსამართლო სავაჭრო პრაქტიკების აკრძალვის გზით;
- სურსათის მიწოდების ჯაჭვში გამჭვირვალობის, მდგრადობისა და სექტორის ეკონომიკური მდგრადობის მხარდაჭერას.

საჯარო კონსულტაციაში მონაწილეობის მისაღებად მოწოდებულნი არიან ყველა დაინტერესებული მხარე, მათ შორის ფერმერები, მომწოდებლები, სოფლის მეურნეობის პროდუქტების მყიდველები, მცირე და საშუალო საწარმოები, პროფესიული და არასამთავრობო ორგანიზაციები, საჯარო უწყებები, მკვლევარები და მოქალაქეები.

მიღებული შენიშვნები გამოყენებული იქნება გავლენის შეფასების მომზადების პროცესში, რაც საფუძვლად დაედება კანონმდებლური წინადადების შემუშავებას, რომლის წარდგენა დაგეგმილია 2026 წლის მესამე კვარტალში.

წყარო:

02

ლუქსემბურგის კონკურენციის უწყება

WHATSAPP გამოცხადდა განსაკუთრებულად მსხვილ ონლაინ პლატფორმად

ევრო კომისიამ 26 იანვარს, ციფრული სერვისების აქტის (DSA) ფარგლებში, WhatsApp გამოავლინა როგორც განსაკუთრებულად მსხვილი ონლაინ პლატფორმა (Very Large Online Platform – VLOP). აღნიშნული გადაწყვეტილება ეფუძნება WhatsApp Channels ფუნქციონალის გამოყენებას, რომელიც მომხმარებლებს ფართო აუდიტორიისთვის ინფორმაციის გავრცელების შესაძლებლობას აძლევს.



ევროკავშირში WhatsApp-ს 45 მილიონზე მეტი აქტიური მომხმარებელი ჰყავს, რაც საკმარისია VLOP-ის სტატუსის მინიჭებისთვის დადგენილი ზღვრის დასაკმაყოფილებლად.

როგორც განსაკუთრებულად მსხვილ ონლაინ პლატფორმას, Meta-ს ოთხთვიანი ვადა ეძლევა, რათა უზრუნველყოს WhatsApp-ის სრული შესაბამისობა VLOP-თვის განსაზღვრულ დამატებით ვალდებულებებთან ციფრული სერვისების აქტის მოთხოვნების შესაბამისად.

[წყარო:]

01

თურქეთის კონკურენციის უწყება

მოკვლევა კოსმეტიკის სექტორში ოპერირებადი კომპანიების წინააღმდეგ

თურქეთის კონკურენციის უწყება იწყებს მოკვლევას კომპანიების Carex Bitkisel Ürünler ve Kozmetik Sanayi Ticaret AŞ, Farma Plus İlaç Bant Sağlık ve Kozmetik Ürünleri Sanayi Ticaret Ltd.

Şti. **და** Digital Farma İlaç Sanayi ve Ticaret Ltd. Şti. წინააღმდეგ. მოკვლევა შეეხება კონკურენციის დაცვის კანონის შესაძლო დარღვევებს, კერძოდ რეალიზაციის ფასების დადგენასა და ინტერნეტით გაყიდვების შეზღუდვას.

კონკურენციის უწყებამ წინასწარი მოკვლევის მონაცემები განიხილა და მიიჩნია, რომ აუცილებელია მოკვლევის დაწყება აღნიშნული კომპანიების საქმიანობის შესახებ.

წყარო:

01

საბერძნეთის კონკურენციის კომისია

ანგარიში EXSTRA VERGIN OLIVE OIL-ის ფასების დინამიკაზე

საბერძნეთის კონკურენციის კომისია (HCC) ამზადებს ორ კვლევით ანგარიშს, რომლებიც სიღრმისეულად აანალიზებს Extra Virgin Olive Oil-ის ფასების ფორმირების მექანიზმებს როგორც წარმოების, ისე საცალო ბაზრებზე. კვლევები ეფუძნება თანამედროვე ეკონომეტრიული მოდელების გამოყენებას ფასებისა და კონკურენტული პროცესების ტენდენციების შესასწავლად.

პირველი კვლევა „ფასების ურთიერთდამოკიდებულება ევროკავშირის ძირითად ბაზრებს შორის“ იკვლევს საბერძნეთის, იტალიისა და ესპანეთის მწარმოებლების ფასების ურთიერთქმედებას. შედეგები აჩვენებს, რომ რეგიონში ფასების დომინანტურ როლს ესპანეთი ასრულებს. საბერძნეთი ფასების ფორმირებისას ძირითადად ესპანეთის ტენდენციებს მიჰყვება, ხოლო იტალია უფრო მგრძნობიარეა მოკლევადიანი შოკების მიმართ და ფასების ცვალებადობის ერთ-ერთ მთავარ არხს წარმოადგენს.

მეორე კვლევა „ფასების კავშირის ანალიზი საბერძნეთის საცალო ბაზარზე“ ფოკუსირებულია სუპერმარკეტების დონეზე არსებულ ფასებზე. ცხრილოვანი რეგრესიის (quantile regression) გამოყენებით გამოვლინდა მნიშვნელოვანი ჰეტეროგენურობა როგორც სუპერმარკეტებს, ისე პროდუქტებს შორის. კვლევის შედეგები არ მიუთითებს კოორდინირებული ქცევის არსებობაზე, ვინაიდან ფასების ცვლილებები დამოკიდებულია პროდუქტის კატეგორიასა და კონკრეტულ ფასურ დონეზე.

ორივე კვლევა ხელმისაწვდომია HCC-ის ოფიციალურ ვებგვერდზე.

აღნიშნული კვლევების მიზანია სასურსათო ბაზრის სტრუქტურის უფრო ღრმა გაგება, რაც კომისიას შესაძლებლობას აძლევს განახორციელოს მიზნობრივი ჩარევები კონკურენციის დაცვისა და მომხმარებელთა ინტერესების დაცვის ეფექტიანობის გასაზრდელად.

წყარო:

01

ლიეტუვის მომხმარებლთა დაცვის სახელმწიფო უწყება

ბიზნესის დამოკიდებულება მომხმარებლის უფლებების დაცვის მიმართ

2025 წელს, ლიეტუვის მომხმარებელთა დაცვის სახელმწიფო უწყების (SCPS) დაკვეთით ჩატარებულმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ ბიზნესს სტაბილური ნდობა აქვს მომხმარებელთა უფლებების დაცვის სისტემის მიმართ. გამოკითხვის მიხედვით, კომპანიების 63% მიიჩნევს, რომ ლიეტუვაში მომხმარებელთა უფლებები საკმარისად არის დაცული, რაც ასახავს ბიზნესის მზარდ და უფრო გააზრებულ მიდგომას ამ საკითხში.

მომხმარებლის უფლებები როგორც რეპუტაციისა და სამართლიანი კონკურენციის საფუძველი: გამოკითხვის შედეგები მიუთითებს, რომ მომხმარებელთა უფლებების დაცვა უფრო მეტად აღიქმება სამართლიანი კონკურენციის წინაპირობად. რესპონდენტთა 61% აცხადებს, რომ მომხმარებელთა უფლებების დაცვა ხელს უწყობს სამართლიან კონკურენციას. კომპანიების 76% ცდილობს დავები მომხმარებელთან მშვიდობიანად მოაგვაროს, სასამართლოს ჩარევის გარეშე.

ბალანსი მომხმარებლისა და ბიზნესის ინტერესებს შორის: კომპანიების 65% მიიჩნევს, რომ სამართლებრივი აქტები ეფექტურად იცავენ მომხმარებელთა უფლებებს. რესპონდენტთა ნახევარი ასახელებს, რომ აქტები გონივრული

და გასაგებია, ხოლო 40%-ზე მეტი მიიჩნევს, რომ ისინი უზრუნველყოფენ უსაფუძვლო საჩივრებისგან ბიზნესის დაცვის მექანიზმს. ეს მონაცემები მიუთითებს მომხმარებელთა და ბიზნესის ინტერესებს შორის ბალანსის ზრდაზე.

ცოდნა იზრდება, მაგრამ ცნობიერების ამაღლება საჭიროა: ბიზნესის 60% მიიჩნევს, რომ ლიეტუვაში საკმარისად იციან მომხმარებელთა უფლებების შესახებ, ხოლო 95% იცის, სად შეიძლება მოძებნოს ინფორმაცია. მიუხედავად ამისა, ერთმესამედზე მეტმა კომპანიამ აღნიშნა, რომ ცნობიერების ამაღლება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არასამართლიანი სავაჭრო პრაქტიკის, სასამართლოს გარეშე დავების და უსამართლო კონტრაქტების პირობების საკითხებში.

რესპონდენტთა 44% მიიჩნევს, რომ სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობა მომხმარებელთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფაში მნიშვნელოვანია.

[წყარო:]

01

ავსტრალიის კონკურენციისა და მომხმარებლის კომისია

ავტომობილების დაქირავების პლატფორმამ ჯარიმა გადაიხადა ფასების არასრული ჩვენების გამო

საერთაშორისო ავტომობილის დაქირავების ონლაინ პლატფორმამ EconomyBookings ჯარიმა 39,600 აშშ დოლარის ოდენობით გადაიხადა, მას შემდეგ რაც ავსტრალიის კონკურენციისა და მომხმარებელის კომისიამ (ACCC) კომპანიას ორი დარღვევა დაუდგინა.

ACCC-ის განცხადებით, EconomyBookings მომხმარებლებს ვებგვერდზე არ წარმოაჩენდა ჯამურ საბოლოო ფასს, რომელიც მოიცავს ყველა წინასწარ არჩეულ დამატებით სერვისს, რამაც შექმნა მცდარი წარმოდგენა.

ყველა კომპანია, რომელიც ავსტრალიელ მომხმარებლებს სთავაზობს პროდუქტებს ან მომსახურებას, ვალდებულია ფასები სრულად და გამჭვირვალედ წარმოაჩინოს. ფასის ჩვენება არ უნდა ქმნიდეს შეცდომაში შემყვან წარმოდგენას.

ACCC-ის მონაცემებით, EconomyBookings-ის ვებგვერდზე ავტომობილის საწყისი ფასი, მაგალითად, $147.10, სინამდვილეში არ მოიცავდა დამატებით სერვისებს, ხოლო ჯამური გადასახდელი თანხა $315.04 იყო.

EconomyBookings წარმოადგენს SIA Booking Group Corporation-ს, რომელიც დაფუძნებულია რიგაში, ლატვიაში.

წყარო:

გამოყენებული ინფორმაცია ეყრდნობა უწყებების/ორგანიზაციების ოფიციალურ საიტებზე არსებულ ინფორმაციებს.

გადამოწმდა იტალიის, ლუქსემბურგის, თურქეთის, პოლონეთის, საბერძნეთის, ავსტრალიის და ლიეტუვის კონკურენციის უწყებების ოფიციალური გვერდები.

15 20

info@gcca.gov.ge

www.gcca.gov.ge

GCCA • საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო

GCCA • Georgian Competition and Consumer Agency

0102 ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზირი - 154.
ბიზნეს ცენტრი "მწვანე ოფისი"